ბრძანება:**ბ36.36211838**

თარიღი:**02/07/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართში წარმოდგენილი უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით 2021 წლის 5 ივლისს ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით აუქციონატორის უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ავთანდილ ჩხაიძეს (პ/ნ 33001062433);

3. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად;

4. განაცხადის გაკეთების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 5 ივლისს 15:00 საათიდან 2021 წლის 19 ივლისის 15:00 საათამდე პერიოდი;

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში (26.01.45.518) მდებარე 19205.0 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ყიდვის შემთხვევაში მყიდველმა უზრუნველყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) წინასწარი შეთანხმება მერიის შესაბამის სამსახურებთან;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

7. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

გამოყენებულია კვალიფიციური